

საგრანტო პროგრამა
„იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“
(„საქართველოს ახალგაზრდა ელჩების პროგრამა“)

1. „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამის მიზნები

„საქართველოს ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამა წარმოადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამას. პროგრამის საშუალებით, საზღვარგარეთ მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ეძლევათ 2022 წლის განმავლობაში გახდნენ „ახალგაზრდა ელჩები“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში და მოახდინონ მათი თანატოლი ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების ინფორმირება საქართველოს შესახებ, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და აწმყოს, მისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების, დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, აგრეთვე, ქვეყნის კულტურის, განათლების, ტრადიციების, ეკონომიკის, სპორტის და ახალგაზრდული პოლიტიკის თაობაზე.

„ახალგაზრდა ელჩების“ მთავარი ამოცანაა ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვა, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თემებზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობის გაზრდა და საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში გააქტიურების ხელშეწყობა, აგრეთვე, კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანს საზღვარგარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის შექმნა და პოპულარიზაცია წარმოადგენს. პროექტში მონაწილე ახალგაზრდები შექმნიან საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელს.

აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიეცემა საშუალება მჭიდრო კავშირი დაამყაროს ქართული დიასპორის ახალგაზრდა წარმომადგენლებთან და მათ მიერ კულტურულ-შემეცნებითი, საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და სხვა ინიციატივების განხორციელების გზით, ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარების პროცესში მათ აქტიურ ჩართულობას.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს „ახალგაზრდა ელჩების“ ადგილსამყოფელ ქვეყნებში:

- საქართველოს პოპულარიზაცია;
- ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვისკენ მიმართული ქმედებებისა და ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის, აგრეთვე, დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობის გაზრდისა და საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში გააქტიურების ხელშეწყობის თვალსაზრისით;
- საქართველოს უცხოელ ახალგაზრდა მეგობართა ქსელის შექმნა;
- ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა;
- საჯარო სამსახურისათვის პერსპექტიული კადრების წარმოჩენა.

პროგრამის ფარგლებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში „ახალგაზრდა ელჩების“ შერჩევა განხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე. კანდიდატები შეირჩევა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული შემდეგი 30 ქვეყნიდან:

1. ავსტრიის რესპუბლიკა;
2. აზერბაიჯანის რესპუბლიკა;
3. ამერიკის შეერთებული შტატები;
4. ბელარუსის რესპუბლიკა;
5. ბელგიის სამეფო;
6. ბულგარეთის რესპუბლიკა;
7. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა;
8. დანიის სამეფო;
9. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო;

10. ესპანეთის სამეფო;
11. ესტონეთის რესპუბლიკა;
12. თურქეთის რესპუბლიკა;
13. იაპონია;
14. ირლანდია;
15. ისრაელის სახელმწიფო;
16. იტალიის რესპუბლიკა;
17. კორეის რესპუბლიკა;
18. ლატვიის რესპუბლიკა;
19. ლიეტუვას რესპუბლიკა;
20. ნორვეგიის სამეფო;
21. ნიდერლანდების სამეფო;
22. პოლონეთის რესპუბლიკა;
23. საბერძნეთის რესპუბლიკა;
24. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა;
25. საფრანგეთის რესპუბლიკა;
26. უკრაინა;
27. უნგრეთი;
28. შვედეთის სამეფო;
29. შვეიცარიის კონფედერაცია;
30. ჩეხეთის რესპუბლიკა.

კონკურსის შედეგად შერჩეული „ახალგაზრდა ელჩების“ მონაწილეობით, საქართველოში გაიმართება ახალგაზრდა ელჩების ამბასადორიალი, რომლის ფარგლებში „ახალგაზრდა ელჩები“ წარმოადგენენ საკუთარ ინიციატივებსა და ერთი წლის სამოქმედო გეგმას, ასევე, შეხვედებიან კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის, დიპლომატიური და სხვა სექტორების წარმომადგენლებს.

ამბასადორიალი შესაძლებელია ჩატარდეს ონლაინ ფორმატში.

2. განაცხადით მიმართვის პროცესი და ვადები

- „საქართველოს ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამის კონკურსის ფარგლებში, განაცხადების წარდგენა ხორციელდება 2022 წლის 1 თებერვლიდან 6 მარტის ჩათვლით (თბილისის დროით 24:00 სთ).
- მითითებული ვადების დარღვევით გადმოგზავნილი განაცხადები არ განიხილება.
- არასრული განაცხადი არ განიხილება.
- საკონკურსო განაცხადის და შესაბამისი დოკუმენტაციის (საჭიროების შემთხვევაში - ქართულ ენაზე ან ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის) მიღება, მითითებული ვადების გათვალისწინებით, ხდება ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე - youngambassador@mfa.gov.ge.

3. საკონკურსო პირობები

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან 30 წლის ასაკამდე, რომელიც ცხოვრობს საზღვარგარეთ, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და:

- სასურველია ჰქონდეს ახალგაზრდულ სფეროში მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია ჰქონდეს პროექტების მართვის გამოცდილება;
- სასურველია ჰქონდეს ადგილსამყოფელ ქვეყანაში მოქმედ დიასპორულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის გამოცდილება;
- სასურველია ჰქონდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის საჯარო ან კერძო სტრუქტურაში მუშაობის/სტაჟირების/პრაქტიკის გამოცდილება;
- სასურველია ფლობდეს ადგილსამყოფელი ქვეყნის ოფიციალურ ენას.

4. წარმოსადგენი დოკუმენტები

- შევსებული საკონკურსო განაცხადი;
- სამოქმედო გეგმა;
- სამოტივაციო წერილი;
- ფოტოსურათი;
- CV ქართულ ენაზე;
- საქართველოს მოქალაქის მოქმედი პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;
- საზღვარგარეთ ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთი (სასწავლო ვიზა, ცხოვრების ნებართვა და სხვა);
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ცნობა მუშაობის უფლების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- რეკომენდაციები, სერტიფიკატები, დიპლომები და სხვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5. კონკურსანტის შერჩევის პროცესის შესახებ

კონკურსანტების შერჩევა სამ ეტაპიან პროცესს გულისხმობს:

პირველი ეტაპი - განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას გულისხმობს. ადმინისტრაციული (ფორმალური) შემოწმებისას დგინდება განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის საკონკურსო პირობებთან შესაბამისობა. ადმინისტრაციულ (ფორმალურ) შემოწმებას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი.

იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია სრულყოფილია და ფორმალურად აკმაყოფილებს საკონკურსო მოთხოვნებს, კონკურსანტი გადადის შერჩევის მეორე ეტაპზე.

მეორე ეტაპი - კომისიის მიერ განაცხადისა და თანდართული დოკუმენტაციის ხარისხობრივ (შინაარსობრივი) შეფასებას გულისხმობს. შეფასება კონკრეტული კონკურსისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ხდება, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოტივაციო წერილს და სამოქმედო გეგმის პროექტს.

მესამე ეტაპი - კომისიასთან გასაუბრება.

მეორე და მესამე ეტაპის ერთად შეფასება ქულობრივი სისტემით ხორციელდება.

კომისიის გადაწყვეტილებით, გასაუბრება შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად, ონლაინ ფორმატში.

6. საკონკურსო კომისია

„ახალგაზრდა ელჩებს“ სპეციალურად შექმნილი კომისია შეარჩევს. კომისია დაკომპლექტებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენლებით.

7. კონკურსანტების ინფორმირება შედეგების შესახებ

კონკურსანტს საბოლოო შედეგის შესახებ ეცნობება გასაუბრების დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

8. პროგრამის დაფინანსების წყარო

სამინისტროს მიერ თანხის გამოყოფა ხორციელდება „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი 2022 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან. კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-15 მუხლის 9.1.4 ქვეპუნქტის - „დიასპორული პოლიტიკა (პროგრამული კოდი 28 01 04) - ფარგლებში.

9. დაფინანსების შესახებ

შერჩეულ კანდიდატს დაფინანსება გამოეყოფა არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარის ოდენობით. (სამოქმედო გეგმაში შესული ღონისძიებებისათვის განსაზღვრული თანხის სრული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 ლარს).

10. სახელშეკრულებო ურთიერთობები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გამარჯვებულ კანდიდატს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში კონკურსში გამარჯვებულ კანდიდატებს 2022 წლის ბოლომდე განსახორციელებლად გამოეყოფათ თანხა არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით.

შერჩეულ ქვეყნებში „ახალგაზრდა ელჩის“ საქმიანობის მონიტორინგს უზრუნველყოფს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით.